

# 2004-2008 წლების მომვევის კარლამენტის საქმიანობაში ჩვენი ეპონომიკის ბევრი უკეთერობის გასაღები დევს

გაზეთი “ბანკები და ფინანსები” – 20 მაისი, № 5, 2008

საქართველოსათვის არჩევნების ციეცხელება უცხო არაა. 21 მაისს საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა და ისევ ისმის თავბრუდამხვევი დაპირებები სიდარიბის დაძლევასა და აღმშენებლობაზე. ასე იყო ოთხი წლის წინ და ასეა ახლაც. “ვარდების რევოლუციით” მოსული პარლამენტი დიდ ნდობას იმსახურებდა, თუმცა, ეს თავდაპირველად. უმრავლესობით მოსულმა სახელისუფლო პარტიამ იმდენი ქნა, რომ პარლამენტი ლამის სალანდავ სიტყვად იქცა, საკანონმედბლო ორგანო კი ნოტარიულ სამსახურად. ახალი პარლამენტის მოლოდინში საკანონმდებლო ორაგონს განვლილი მუშაობის შეფასება ექსდაპერტ ლადო პაპავას ვთხოვეთ.

ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით პარლამენტის ოთხწლიან საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკური გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობის კუთხით? ეკონომიკური კუთხით?

ნებისმიერი საქმიანობის შეფასება მხოლოდ მუქ ან დია ფერებში არ შეიძლება. იყო გარკვეული პოზიტივი და გარკვეული ნეგატივიც და მხოლოდ

მათი შეჯერების შედეგად შეიძლება დაკვნის გაკეთება. დადებით მხარეებში გამოვყოფდი ისეთი კანონების მიღებას, რომელმაც რეფორმების გატარებას შეუწყო ხელი. ეს, პირველ რიგში, საგადასახადო კანონმდებლობას ეხება. ვერ ვიტყვი, რომ კარგი საგადასახადო კანონმდებლობა გვაქვს, მაგრამ ამ პარლამენტმა 2004 წლის ბოლოს დაამტკიცა ადრინდელზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების სახეობები, საგადასახადო განაკვეთები და შემოღებულ იქნა საგადასახადო არბიტრაჟის ინსტიტუტი. თუმცა, ზურაბ უვანიას გარდაცვალების შემდეგ ახალმა პრემიერ-მინისტრმა ეს სამსახური გააუქმა, ანუ რაც დადებითი იყო გაუქმდა, ისე რომ ამოქმედებაც ვერ მოასწრო. ხოლო საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ისეთი ცვლილება, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: მხედველობაში მაქვს 12%-იანი საშემოსავლო გასახადის განაკვეთის 25%-მდე ზრდა და მის სანაცვლოდ სოციალური გადასახადის გაუქმება, რამაც პრაქტიკულად საგადასახადო ტვირთის დამსაქმებლის მხრებიდან დასაქმებულზე გადაიტანა. პროგრესულად ვაფასებ ახალი საბაჟო კანონმდებლობის მიღებას, საბაჟო განაკვეთები განულდა მთელი რიგი საქონლის მიმართ და მხოლოდ 12% დარჩა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და 5% საშენ მასალებზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბიზნესის დაწყების ლიცენზირების სისტემის გამარტივება. მაგრამ, ამავდროულად, სერიოზული დანაშაულებრივი ქმედებებიც განხორციელდა. მაგალითად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმება, რამაც მონოპოლიების განვითარებას შეუწყო ხელი. სულ ცოტა დიმილს მაინც იწვევს ის, რომ 2007 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა მარილის თუ შაქრის ბაზარზე მონოპოლიური საქმიანობის დარღველირება. ინსტიტუციონალურ ცვლილებებში შეცდომა იყო ის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაუქვემდებარეს, რამაც მას დამოუკიდებლობა დააკარგვინა და მთავრობა იმ ინფორმაციას აქვეყნებინებს, რაც აწყობს. ჩვენი კანონმდებლობა არც თუ ისე ცუდია, მაგრამ 4 წლის მანძილზე მისი აღსრულება აბსოლუტურად უვარგისი იყო. მაგალითად, არც ერთ კანონში არ გვიწერია, რომ საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება, თუმცა ამ ხელყოფის ფაქტებზე პარლამენტის რეაქცია არ

პქონია. დადებით მხარეს ის წარმოადგენდა, რომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ მოხდა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, თუმცა ბიუჯეტის ნაკლი ის იყო, რომ წლის განმავლობაში მასში ძალიან ბევრი ცვლილება შედიოდა. პროფიციტულ ბიუჯეტს კი პლიუსად ვერ ჩავთვლი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დრმად დეფიციტური ბიუჯეტი გვაქვს. მხოლოდ ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია შეიცვალა, სადაც გარკვეულწილად ხარჯები და შემოსავლები ბალანსდება, რის შედეგადაც აჩვენეს, რომ თითქოს 2008 წლის ბიუჯეტი 275 ათას ლარიანი პროფიციტით დაიგეგმა. სინამდვილეში კი, ბიუჯეტის დეფიციტი 375 მლნ ლარი იყო. ფისკალური და მონეტარული პროფიციტულ-დეფიციტურობა ის თვალთმაქცობაა, რომელშიც პარლამენტს მინუსი უნდა დაეწეროს. უარყოფითად შევაფასებდი შრომის კოდექსს, რომელმაც დაქირავებული აბსოლუტურად დაუცველი დატოვა. ევროობლიგაციებთან დაკავშირებით სპეციალური ცვლილება შევიდა კანონში “სახელწიფო ვალის” შესახებ, სადაც გაწნდა ჩანაწერი, რომ, როცა ქვეყანა ევროობლიგაციებს გამოუშვებს, მთავრობა იღებს ვალდებულებას სესხის ვადები, საპროცენტო განაკვეთი თუ სხვა პარამეტრი გაწერილი იყოს ბიუჯეტში და დამტკიცდეს პარლამენტის მიერ. აშკარად სწორი ცვლილებაა, მაგრამ იმავე ცვლილებაში გარდამავალ მუხლში წერია, რომ ეს მოთხოვნა არ მოქმედებს 2008 წელსო. მთავრობა რას გააკეთებს 2008 წელს ევროობლიგაციებზე დაკაგშირებით ეს პარლამენტის საქმე უპარ აღარ არის. ასეთი წინააღმდეგობრივია ამ პარლამენტის საქმიანობა... ეკონომიკური კანონმდებლობის თვალსაზრისით პარლამენტის მუშაობას უფრო შევაფასებდი უარყოფითად, ვიდრე დადებითად.

**პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან რომელი მიგანიათ ყველაზე დადებითად და ყველაზე უარყოფითად?**

პარლამენტის მცდარი გადაწყვეტილებებიდან გამოვყოფდი კანონს “თავისუფალი ეკონომიკური ზონის” შესახებ, რაც დაანგრევს ქვეყნის ეკონომიკას, როცა ეს ზონა ამოქმედდება, აგრეთვე ცვლილებებს კანონში “ეროვნული ბანკის შესახებ”, რომელმაც რეალურად ეროვნულ ბანკს დამოუკიდებლობა დააკარგვინა და მთავრობის დანამატად აქცია. ხოლო

კველაზე პროგრესულად სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების გამარტივება მიმართია. საქართველოს ფინანსურ ცენტრად გამოცხადება კი ის შემთხვევაა, რომელზეც კომენტარის გაკეთება, ცოტა რთულია. გურგენიძე ჩვენ ქვეყანას უყურებს, როგორც ერთ დიდ ფინანსურ კორპორაციას და არა როგორც სახელმწიფოს.

თქვენი აზრით, რომელმა პარლამენტარმა და კომიტეტმა ითამაშა კველაზე პოზიტიური თუ ნეგატიური როლი განვლილ საპარლამენტო ცხოვრებაში?

ამ პარლამენტში არ იყო ქვეყნის აღმნიშვნელობის კანონშემოქმედებითობა. აქ იყო ბრძოლა იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი უფრო მეტად არ დანგრეულიყო, ვიდრე ამას მთავრობა აპირებდა. ამიტომ შემოქმედებითი თვალსაზრისით დეპუტატების გამოყოფა ძალიან ძნელია. რომან გოცირიძემ საინტერესოდ დაიწყო თავისი საპარლამენტო მოღვაწეობა, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებაში მისი წვლილი ძალიან დიდი იყო, მაგრამ იგი ჟგანიას გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდა და საპარლამენტო საქმიანობას ჩამოშორდა. ასევე მინდა გამოვყო ირაკლი კოვზანაძე, რომელიც მთავრობას ეროვნული ბანკის გადასდარჩენისთვის ებრძოდა, მართალია სრულად ვერ გადაარჩინა, მაგრამ არც მთლიანად დაანგრევინა. ხოლო უარყოფითი თვალსაზრისით არც ერთი დეპუტატის გამოყოფა არ შემიძლია: მთელი უმრავლესობის ნაკლი ის იყო, რომ ბენდუქიძის ყურმოჭრილი მონები იყვნენ. რაც შევხება კომიტეტებს, საკმაოდ დიდი დატვირთვა მოვიდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტზე, რომლის წევრიც მე ვიყავი, და, არ მინდა ვთქვა, რომ ეს იყო ყველაზე საუკეთესო კომიტეტი, მაგრამ აქ ყოველთვის მოიძებნებოდა ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ბენდუქიძის დავალებების უტყვი შემსრულებლები. ყველა კომიტეტი, რომელიც ბრძად მიყვებოდა ბენდუქიძეს, დამნაშავეა იმაში, რაც ქვეყანაში მოხდა.

## გვანცა სიხარულიძე